ცნობის ფურცელი

VI V. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 პარასკევი, 24 აგვისტო № 1562

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის" და „ცნობის ფურცლის" რედაქციაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27, და წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი· Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"—„Моамбе". ტელეფონი № 372.

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე. კვირა უქმეების გარდა
დ ი ლ ი თ:

გ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე.

ბ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ნ. ა. მუღაინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 11—12 საათამდე.

ი. ზ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 10—11 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

პ. გ. ფულდორფი—შინაგანი და საბავშვო 9—10 საათამდე.

გ. დ. მარკევიჩი—სადოსტაქრო $12\frac{1}{2}$—$1\frac{1}{2}$ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი $1\frac{1}{2}$—2 საათამდე.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ბ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 ს-დე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ტელეფონი № 274. (წლ')

სასწავლებელი და პანსიონი
ა. გ. მირზაშვილისა
ელისაბედის ქუჩაზე, სახლი № 25.

ამით აცხადებს, რომ სწავლა დაიწყება სასწავლებელში პირველ ენკენისთვიდან. მიიღებენ ბავშვებს მოსამზადებლად: გიმნაზიისათვის, რეალურ და კომერციულ სასწავლებლისათვის. სხვათა შორის, აქვე ამზადებენ ყმაწვილებს ზემდგომის და იუნკრის სკოლებისათვისაც. (16—2)

სკოლა და პანსიონი
ა. მამულაიშვილისა
ამზადებს ყმაწვილებს სხვა-და-სხვა სასწავლებლებისათვის.

ყმაწვილებს იღებენ ყოველ დღე. სწავლა დაიწყება 1 სექტემბრიდან. ოლგას ქუჩა (Ольгинская) № 13. (10—4)

მ კ უ რ ნ ა ლ ი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს დილით—12—1, საღამოთი 6—7. ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკ. სახლი. ტელეფონი. 791.

დაარსდა ქალაქ ტფილისში
პირველი
ცინკოგრაფია
წიგნების გამომც. ქართველთა ამხანაგობისა.
(ვანქის დიდი ქ., № 27. ტელეფონი № 372)

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატიდან. შეიძლება გადაღება ძველი ნაწერების ნიმუშებისა, სიგელებისა და სხვ. ქალაქ გარეშე მცხოვრებთ შეუძლიანთ გადასაღები დედანი ფოსტით გამოგზავნონ—გაკეთებული კლიშე გაეგზავნებათ ფასის ზედ-დადებით. (1000—29)

ქუთაისში, ვ. ბეჟანიშვილის მაღაზიაში, იყიდება გაზეთ „ცნობის ფურცლის"-ს ნომრები. ფასი თითო ნომრისა 3 კაპეიკი.

დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

22 აგვისტო.

ფრედენსბორგი. შაბათს მთელი სამეფო ოჯახი მიდის როსკილდში, რათა გარდაცვალებულის დედოფლის ლუიზას დაბადების დღეს ინახულოს მისი სასაფლაო.

ქრისტიანია. გაზეთები „მორგენბლაადეტ" და «აფტონბლაადეტ» იტყობინებიან, რომ გემი „ერმაკ" მივიდა ქრისტიანიაში და აღარ აპირებს „ახალ ქვეყნის" ჩრდილოეთით კარსკი ზღვისაკენ წასვლას, რადგან ყინულის გაჭრა შეუძლებელია. „ერმაკი" მივიდა ფრანც-იოსების ქვეყნამდე და აღმოაჩინა სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაპირთან რამდენიმე კუნძული, რომელნიც დღემდის რუქაზე არ იყვნენ ნაჩვენები. შემდეგ ის წავიდა „ახალ ქვეყნისაკენ" და გზაზე კიდევ აღმოაჩინა კუნძულები.

ბერლინი. ესკადრის უფროსი ზასნიცაში იტყობინება, რომ პატარა გემი „ვახტ" დაეტაკა ჯავშნიან გემს „სახსენ"-ს და დაიღუპა არკონის ახლო. ჰფიქრობენ, რომ ადამიანთაგან არავინ დამხრჩვალა.

ბერლინი. ახალ სასახლეში იმპერატორმა, შუადღისას, პრინცების, მინისტრების, გენერლების და სასახლის წარჩინებულების დასწრებით მიიღო პრინცი ცუნი, რომელმაც წაიკითხა ჩინეთის იმპერატორის წერილი, ყვითელ აბრეშუმის ტილოზე დაწერილი. აუდიენციის შემდეგ ცუნმა მიიღო საპატიო ღარაჯი და წავიდა მისთვის დანიშნულ სასახლეში, სადაც ნაშუადღევს მასთან სადარბაზოდ იმპერატორი მივა.

უნიონსდალი. ბრიტანიის სადარაჯო რაზმს, რომელიც 25 კაცისაგან შესდგებოდა, მდინარეზე გადასვლის დროს უეცრად თავს დაესხნენ ბურები. ოფიცრებმა და ორმა ჯარის-კაცმა თავს უშველეს; სამი მოკლულია, ოთხი დაჭრილი, დანარჩენები დანებდნენ ბურებს, მაგრამ როცა დაიფიცეს—ომში მონაწილეობას არ მივიღებთო, განთავისუფლებულ იქმნენ.

ბერლინი. ჩინეთის იმპერატორის წერილში გერმანიის იმპერატორისადმი გამოცხადებულია მწუხარება კეტტელერის მოკვლის გამო. «კეტტელერიო, სწერს იმპერატორი, მტკიცე დამცველი იყო ორთავე სახელმწიფოს ინტერესებისაო». შემდეგ ნათქვამია, რომ იმ ადგილას, სადაც მოკლული იქმნა ელჩი, ძეგლი დაიდგმებაო. იმპერატორმა მიანდო პრინც ცუნს—მადლობა მოახსენოს ვილჰელმს მშვიდობიანობის აღსადგენად ჯარების ჩინეთში გაგზავნისათვის და «დიდი მუშტის» დამხობისათვის.

მოსკოვი. საერობო მასწავლებელთა კრება სასურველად სცნობს: 1) მექანიურ კარნახის მაგიერ შემოღებულ იქმნას, რომ მოწაფეებმა თავის სიტყვებით დასწერონ წაკითხული, რათა მიეჩვიონ აზრების დალაგებით გამოთქმას; 2) უფრო დაახლოვებით გაიცნონ მოწაფეთ ბუნება; 3) შემოღებულ იქმნას 4 წლის კურსი და 5) გაიხსნას სახალხო უმაღლესი სკოლები მაზრებში.

ხარკოვი. ტეხნოლოგიურ ინსტიტუტში მიიღეს 233 მართლ-მადიდებელი და 7 ებრაელი; ეგზამენებს-კი 430 ყმაწვილი იჭერდა, მათ შორის 90 ებრაელი. უნივერსიტეტში მიიღეს 258 ყმაწვილი.

პეტერბურგი. 21 აგვისტოს, საბერძნეთის დედოფალი უავგუსტოესის შვილებით, ანდრია და ქრისტეფორეთი, სამხრეთ რუსეთში გაემგზავრა.

21 აგვისტოს დიდი მთავარი გიორგი მიხეილისძე მეუღლითურთ ბორჯომს გაემგზავრა.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ინგლისი. დეპეშებიდან ვიცით, რომ კიტჩენერის პროკლამაციის პასუხად ბურების ყველა სარდლებმაც საპასუხო პროკლამაციები გამოსცეს და ურჩიეს ყველა ბურებს: თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა მხნედ განაგრძეთო. ბურების პროკლამაციები კონსერვატორების გაზეთებს, რასა თქმა უნდა, ჭკუაში არ მოსვლიათ. ამ მიმართულების ყველა გაზეთმა თურმე მეტად ფიცხლად და გესლიანად გააკიცხა ბურების პროკლამაციები. მაგრამ ბურებს თუ ბევრი მტერი ჰყავთ, სამაგიეროდ ბევრი მოკეთეც ჰყავთ, თითონ ინგლისშივე. ამნაირი მოკეთე და მოსარჩლე, სხვა გაზეთებს გარდა, გაზ. «სტარი»-ც ყოფილა. «სტარი»-ს პასუხი მიუცია უნიონისტების გაზეთებისათვის. გაზეთი ასე არიგებს ინგლისელებს:

«აბა თქვენ იყვნეთ ბურების ადგილს, მაშინ, რასაკვირველია ყველანი იტყოდით: პროტესტის უფლებას ვერავინ წაგვართმევსო, მაშინ ჩვენი ჯინგოისტებიც კი იყვირებდნენ: ბურები მეტად შესანიშნავი ხალხია, ამნაირი გმირი ხალხის გაქრობა უსამართლობაა და თანაც საზარალოა კაცობრიობისათვისაო. იტყოდით აგრეთვე, რომ ამნაირი სახელოვანი ხალხი მართლაც ღირსია თავისუფლებისა,—ბურებზე სწორედ ალალია, ახია ეს დამოკიდებულებაო».

ამის შემდეგ გაზეთი ამბობს, ჩემბერლენისა და კიტჩენერის მუქარები რომ შესრულდეს, რატო არ იკითხავთ რა მოუვიდოდა, რა საზარელ ყოფაში ჩავცვივოდნენ ის სამი ოფიცერი და 65 ჯარის-კაცი, ბლუმფონტენთან რომ ბურებმა დაატყვევესო. განა მარტო ეს იყო, რამდენი სხვა წაიყვანეს ტყვედაო.

დასასრულ გაზეთი ჰკითხულობს: რა საბუთის ძალით სთვლიან ბურებს ყაჩაღებადაო. ცოტ-ცოტანი დადიან, ორ-ორი სამ-სამი კაცი, და აბა მაშ ყაჩაღები არ არიან?—ბრძანებს ჩემბერლენი. მაშ რა ჰნებავს ბატონ მინისტრს! იქნება ჰნებავდეს, რომ ბურების მთელი ჯარი ჩვენი ზარბაზნების წინ გამწკრივდეს? არა, ჯერ ბურებს გონება არ დაუკარგავთ. მაგრამ არც თუ ის არის მაინც და მაინც მართალი, ვითომ ბურები სულ ორ-ორი და სამ-სამი კაცი იბრძოდნენ. გაზეთი ამბობს: რა ვიცი, რამდენ ჯერაც ბურებმა ჩვენი ჯარი დაამარცხეს, კიტჩენერი ყოველთვის იმით იხდიდა ბოდიშს, რომ ბურები სიმრავლით სჭარბობდნენ ჩვენ ჯარსაო. მაშ, სჩანს, ბურების რაზმები უფრო რიცხვ მრავლები ყოფილან და ყაჩაღურად ცოტა ხალხით ჩვენ გვიბრძოდიან და არა ბურებს.

ბოლოს გაზეთი ამბობს: ვინც თავის სამშობლოს თავისუფლებას შესულდი მტრისაგან იცავს, არასოდეს ყაჩაღობა არ ეთქმისო. ბურების ყაჩაღებთან შედარება მარტო ზნე-წამხდარ კაცს მოუვა ფიქრად და სხვას არავისო.

საფრანგეთი. სამხედრო მინისტრ ანდრეს ტულუზში ნადიმის დროს ულაპარაკნია და ზოგიერთ მეტად საინტერესო საგანს შეჰხებია.

მინისტრს უთქვამს: ფიქრადა მაქვს სამხედრო მოსამსახურეების ყოფა გავაუმჯობესო, ამისათვის საჭიროა, ოფიცრებს ჯამაგირი მოემატოს და ჯარის-კაცებს სასმელ-საჭმელი უკეთესი ეძლეოდესო, თორემ ეხლა ჯარი-კაცები საკმაოდ კარგ პატივში ვერ არიანო. შემდეგ მინისტრს გამოუცხადებია: აუცილებლად საჭიროა არტილერიის წესები შეიცვალოს და ჯარში ველოსიპედი გავაჩინოთო. კოლონიების ჯარის უფროსობაც სამხედრო სამინისტროს უნდა გადაეცესო. ეს საქმე გადაწყვეტილია, მაგრამ მისი შესრულება მეტად ძნელი და საჩოთიროაო.

დასასრულ მინისტრმა სთქვა: იმედი მაქვს, პარლამენტი დეკრეტს გამოსცემს და ნებას მოგვცემს, სამხედრო სასამართლოს კანონები შევცვალოთო. ეს დეკრეტი ანდრესა და მის წინამორბედს ერთად შეუდგენიათ. დეკრეტის უმთავრესი მუხლი შემდეგია.

1) თუ მშვიდობიანობის დროს სამხედრო პირებმა რაიმე დანაშაული ჩაიდინეს, ეს საქმეები ჩვეულებრივ სამოქალაქო სასამართლოებს უნდა ექვემდებარებოდეს.

2) სამხედრო სასამართლო რომ მშვიდობიანობის დროს რაიმე განაჩენს დაადგენს, ამ განაჩენის თაობაზე საჩივარი საკასაციო სასამართლოს უნდა ექვემდებარებოდეს.

3) მშვიდობიანობის დროს ჩადენილი დანაშაულის გარჩევის დროს პატივსადები მიზეზების და დანაშაულის შემამსუბუქებელი საბუთებიც უნდა აწონ-დაწონონ.

4) ისეთი წესი უნდა დაწესდეს, რომ მოსამართლეებმა თავიანთი აზრი საიდუმლოდ გამოთქვან.

5) სამხედრო სასამართლოების წევრების დანიშვნის წესი უნდა შეიცვალოს.

გერმანია. ვენის გაზეთი «ინფორმაციონ» უნტერ-ოფიცერი მარტენის საქმეს ახალ «დრეიფუსის საქმედა» სთვლის. გაზეთი ამბობს:

«ვერ გაგვიგია, რა ნაირად გადაუწყვიტეს მარტენს სიკვდილით დასჯა, როდესაც ცალიერი ეჭვის გარდა სხვა საბუთი არა ჰქონდათ ბრალდებულის გასამტყუნებლად და თითონ ბრალმდებელიც კი მარტო ციხეში დაპატიმრებას თხოულობდა. გაზეთები ამტკიცებენ, ეს განაჩენი უფროსების ძალდატანებითაა დადგენილიო. ძალდატანება თავის თავად ჩნდება, რადგანაც სამხედრო წესი მთლად ძალდატანებაზეა აგებულიო. რაკი კორპუსის უფროსი ბრალდებულს დამნაშავედა სთვლის, ალბად ნამდვილად დამნაშავე ყოფილა,—ასე ჰფიქრობენ ოფიცრები. ოფიცრები სამსახურში მარტო მორჩილებას ეჩვევიან, დამოუკიდებლად ქცევას და აზრს [illegible] სრულებით გადაჩვეულები არიან. ეს ამბავი ცხადად გვიმტკიცებს, რომ გერმანიის სამხედრო მოსამართლეებს ჭეშმარიტი სამართლის გადაჭრა არ შეუძლიანთ. ამ მხრივაც ისევ ინგლისის წესები სჯობია ყველას წესებს. ინგლისში ოფიცრები და ჯარის კაცები ჩვეულებრივ დანაშაულს რომ ჩაიდენენ, ამ საქმეებს საზოგადო სასამართლო არჩევს. სამხედრო სასამართლოს მარტო წმინდა სამხედრო საქმის თაობაზე ჩადენილი დანაშაული ეკითხება».

✡ გერმანელებმა ჩინეთში ქალ. პეკინში გალავნიდგან ასტრონომიული იარაღები ჩამოიღეს

და გერმანიაში გამოგზავნეს. ეს იარაღები ეხლახან მოიტანეს გემით გერმანიაში. სოციალ-დემოკრატების გაზეთი «ფორვერტს»-ი ჰკითხულობს: «ნეტა დიდი ფასი მისცეს ჩვენმა მოხელეებმა ამ იარაღებშიო? კარგი იქნება ვიცოდეთ, ზარალით ხომ არ ჰყიდესო». ბოლოს გაზეთი ამბობს, როდის ხანია ეს იარაღები პეკინის გალავანზე იდგა, ხელი არავინ ახლო და ჩვენმა განათლებულმა მოხელეებმა კი ჩამოიღეს და გერმანიაში გამოაქანესო. ესეც ხომ სამხედრო დავლა არა ჰგონიათო. სადაც სამართალია, ეს იარაღებიც უკან უნდა დაუბრუნდესთ ჩინელებს ისე, როგორც პრეზიდენტ ლუბემ გენერალ ფრეის «სამხედრო დავლა» დაუბრუნაო, მაგრამ ვინაა პატრონიო.

✿ ბერლინიდანსწერენ«რუსსკია ვედომოსტი»-ის: «გერმანიაში ჩინეთის იმპერატორის ძმა პრინცი ცუნი მოდის ბოდიშის მოსახდელად, მაგრამ პრინცი რაღაც მიზეზით გზაში გაჩერდა. ამბობენ, ვითომ გერმანიის მთავრობას ჩინელებისათვის მოეთხოვოს, გერმანიის იმპერატორის სასახლეში სწორედ ის წესები უნდა შეასრულოთ, რა წესებსაც ჩინეთის იმპერატორის სასახლეში ასრულებთო, ესე იგი პრინც ცუნს სამჯერ მუხლი უნდა მოეყარა და მუცლით ეცოცნა დედა მიწაზე. ჩინელებმა ამაზე უარი თქვეს და გზაში გაჩერდნენო» «კელნ. ცაიტ.» ამტკიცებს: რადგანაც ჩინელები დიდ მნიშვნელობას აძლევენ გარეგნულ წესებს, ამიტომ გერმანიასაც უფლება აქვს მოითხოვოს, რომ მის იმპერატორსაც სწორედ ისეთივე პატივი სცენ, რა პატივსაც ჩინეთის იმპერატორს აძლევენო. რიხტერის გაზ. «ფრეიზ. ცაიტ.»-ი კი სულ სხვას ამბობს: «რა საკვირველია, რომ გერმანიის იმპერატორის სასახლეში ჩინეთის წესების შესრულება მოვითხოვოთო. ამ წესების შესრულება თითონ ჩინელებს რომ მოუნდომნათ, ჩვენ ნება არ უნდა მიგვეცა, რადგანაც ეს წესები მეტად საზიზღარი წესებიაო.

ამხრეთ-აფრიკა. «კელნიშე ცაიტუნგ»-ს ამავე მოჰსვლია კაპშტადტიდან, რომ ინგლისელები უფრო და უფრო გაჭირვებაში ვარდებიანო. მთელი კაპის კოლონია დიდად აღელვებულია. არა თუ მარტო ჰოლანდიელები, თვით ინგლისელი კოლონისტებიც კი ძალიან არიან აღშფოთებულნი. ხალხი მეტად დააფიქრა და გააბოროტა იმ ამბავმა, რომ ინგლისელები კაფრებს აძლევენ იარაღს და ბურების წინააღმდეგ ჰგზავნიან საბრძოლველადაო.

ბურები მომეტებულ ნაწილად კაპშტადტსა და პორტ-ელისაბეთს შუა მოქმედებენ. რკინის გზა ჩაიგდეს ხელში და აქეთ-იქიდან ბევრი მაშველი ჯარი მოსდით.

✿ მალე, როგორც ვიცით, რუსეთის ხელმწიფე იმპერატორი საფრანგეთში მივა. გაზეთები იუწყებიან: ტრანსვაალის ელჩს დოქტორ ლეიდსს ოფიციალურად შეატყობინეს, როცა რუსეთის იმპერატორი კომპიენში სამხედრო აღლუმზე დასასწრებად მივა, პრეზიდენტი კრიგერიც იქ იქნება მიწვეულიო.

✿ გაზეთები იუწყებიან: ინგლისის მეფე ედუარდი VII კომპიენში მივა რუსეთის იმპერატორის სანახავადო.

ავსტრ-უნგრეთი. როგორც ვიცით, უნგრეთის დამოუკიდებელმა დასმა პარლამენტს სთხოვა, პირველ მინისტრად ნამყოფი ბანფი სამართალში მიეცითო. ამის თაობაზე გაზეთები შენიშნენ: ამისთანა საქმე პარლამენტის რომელიმე დასს უნდა ეთავა და არა კერძო კაცებსო.

ის ამბავი, ვითომ ბანფის იმპერატორისათვის უნგრეთის კონსტიტუციის გაუქმება ერჩიოს, ადრე გაზ. «ნაიე ფრეიე პრესსე»-მ გამოააშკარავა და არც თითონ ბანფის და არც სხვას ვისმეს დღემდე პასუხი არ გაუციათ ამ გაზეთისათვის.

ახალი ამბავი

✦ გუშინ საღამოს 7 საათზე ბაქოს მატარებლით დაბრუნდა ტფილისში კავკასიის მთავარ-მართებელი თავ. გ. ს. გოლიცინი. დღეს თავ. გოლიცინი მიემგზავრება ბათუმში, სადაც მიეგებება უავგუსტოესს პირთ, რომელნიც ბორჯომში მიბრძანდებიან.

✦ გაზეთ „კავკაზ“-ში ვკითხულობთ: ტფილ. გუბერნატორმა ი. ნ. სვეჩინმა 22 აგვისტოს აცნობა ტფილისის პოლიცმეისტერს, რომ ქალაქ ტფილისში 4 სექტემბრიდან ერთის წლის ვადით არსდება **წესიერების გაძლიერებული დაცვა** და წინადადებას აძლევს ხსენებულ დღიდან აასრულოს ყოველივე, რასაც მოითხოვს ეს კანონი.

✦ ამ ჟამად ტფილისის ადმინისტრაცია ადგენს პროექტს ტფილისის **პოლიციის შტატის** გაძლიერების შესახებ. განზრახულია დაწესდეს კიდევ ორი თანამდებობა უბნის ზედამხედველთა და ოცის პოლიციელისა. უბნის ზედამხედველს ექნება ჯამაგირი 360 მან. წელიწადში და პოლიციელს—180 მან.

✦ სათანადო უწყებაში კვლავ აღძრულა საკითხი, რომ დაწესებულ იქმნეს ტფილისში **მეეზოვეთა ინსტიტუტი.** ეხლა ეს საქმე განხორციელებულ იქმნება, რადგანაც გაძლიერებული დაცვის წესდების ძალით ამ ინსტიტუტის დაარსება დამოკიდებულია მთავარ-მართებლისაგან.

✦ საგუბერნიო ადმინისტრაცია წინადადებას აძლევს ქალაქის საბჭოს, ხელ-ახლავ განიხილოს საკითხი ტფილისში **საადრესო დაწესებულების** დაარსებისა და ცეცხლის მქრობ რაზმის რეორგანიზაციის შესახებ.

✦ პეტერბურგიდან გვატყობინებენ: შინაგან საქმეთა სამინისტროში კავკასიის ადმინისტრაციას აღუძრავს საკითხი, რომ მიეცეს ნება ტფილისში **ბინის დამქირავებელთ** მონაწილეობა მიიღონ საქალაქო არჩევნებში.

✦ ტფილისის სამოსამართლო პალატა ტფილისის **ქალაქის მოურავისა და გამგეობის წევრთა** თავ. არღუთინსკი-დოლგორუკოვისა, ხოსროევისა და ვერმიშევის საქმეს განიხილავს მომავალ სექტემბერში. აღნიშნულ პირთ, როგორც მკითხველებმა იციან, სამსახურის დროს ბოროტ-მოქმედებათა ჩადენა ედებათ ბრალად.

✦ ტფილისის სახაზინო პალატამ დაადგინა, **გადაახდევინოს** ქალაქის თვით-მმართველობის **ზოგიერთ მსახურთ** კანონით დაწესებული გადასახადი თანამდებობაზე დანიშვნის დროს: სახელდობრ გ. გ. ევანგულოვს 500 მან., გამგეობის წევრად ნამყოფს ვერმიშევს—250 მან., გამგეობისავე წევრად ნამყოფს არღუთინსკი-დოლგორუკოვს—335 მან., გამგეობის წევრს შესტაკოვს—335 მან., გამგეობის წევრს ჩერქეზიშვილს—250 მან. და საბჭოს მდივანს ჭრელაშვილს 100 მან.

✦ 12 აგვისტოს ფინანსთა მინისტრმა დაამტკიცა პროექტი ტფილისში **საგაჭრო სკოლის დაარსების** შესახებ. სკოლის დასაარსებლად ა. ი. მანთაშევმა გადასდვა 50 ათასი მანეთი.

✦ საერო განათლების სამინისტროს ცირკულიარით მიუმართავს კავკასიის საშუალო სასწავლებლებისათვის და აღუნიშნავს, რომ კავკასიის საშუალო სასწავლებლებში **ახალი ენების მასწავლებელის** ადგილები ხშირად თავისუფალიაო, ხოლო, რადგანაც ახალი ენების სწავლება ამიერიდან უნდა გაძლიერდესო, სამინისტრო წინადადებას აძლევს მოიწვიონ მასწავლებლები და თუ ამაში რაიმე დაბრკოლება ნახონ, თვით სამინისტროს მიჰმართონ.

✦ ამ ჟამად სათანადო უწყება იხილავს პროექტს ტფილისის **მიხეილის საავადმყოფოს** შტატის გაძლიერების შესახებ. საექიმო მმართველობა თხოულობს, რომ სანამ შტატები იქნება მომატებული, ეხლავ დაწესდეს სამი თანამდებობა: შინაგან ავადმყოფობის, ქალის ავადმყოფობის და ქირურგიის განყოფილებათა ორდინატორებისა.

✦ ამ დღეებში კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ბ. **ზავადსკი** ბორჯომს მიდის.

✦ განჯის გუბერნატორს შუამდგომლობა აღუძრავს, რომ შემოღებულ იქმნას **აჯიკენტში საქალაქო თვით-მმართველობა** იმ წესით, როგორიც არის დაბა კოჯორში.

✦ თანახმად მიწად-მოქმედების სამინისტროს მიერ დამტკიცებულის წესისა, მომავალ წელს იმპერატორის ალექსანდრე მესამის სახელობაზე არსებული **ჯილდო** მიეცემა საუკეთესო ღვინოში რუსეთის მევენახეთ. ჯილდო სამი ათასი მანათია. ღვინო სპირტ ან შაქარ ნარევი არ უნდა იყოს, არამედ გამოხდილი პატრონის საკუთარ ვენახის ყურძნიდან. ჯილდოს დანიშვნის დროს უპირატესობა მიეცემა შემდეგ ვაზებს: 1) კაბერნე, 2) რისლინგ, პინოგრი და სოვინიონი, 3) საფერავი და რქაწითელი და 4) მურველი და თავკვერი.

✦ საჩხერიდან გვატყობინებენ, რომ იქაური სამკურნალო ქსენონი უკვე გადაუტანიათ **სოფ. ხარაგაულში.**

✦ გუშინ ქალაქის გამგეობამ გადასცა **ლომბარდს** საშუალებათა გასაძლიერებლად ხუთი ათასი მანეთი მესამე საობლიგაციო სესხიდან.

✦ ტფილისის გუბერნატორმა წარუდგინა მთავარ-მართებელს ახალ-ქალაქის საქალაქო მმართველობის თხოვნა, რომ მიეცეს მას **2000 მან. სესხად** საყასბოების გასამართავად.

✦ ცხენების სამხედრო **აღწერა** მოხდება დიდუბეში 25 აგვისტოს.

✦ ამ დღეებში შავს-ზღვაზე, ტრაპიზონისა და რიზას ახლო **დაიღუპა დიდი გემი** ბელგიის საზოგადოებისა „ნორამორ“. გემს კალკუტაში მიჰქონდა $^{1}/_{2}$ მილიონი ფუთი ნავთი ა. ი. მანთაშევისა. 40 კაცისაგან, რომელნიც გემზე იყვნენ, მხოლოდ ორი ზღვაოსანი გადარჩა.

✦ ს. კაცხიდან (შორაპნის მაზრა) გვწერენ: „აქაურმა მემამულემ თ. დავით ლეონიძემ გადასწყვიტა **შესწიროს** კაცხის მომავალ სამრევლო სკოლას სამეურნეო განყოფილებით ოთხი ქცევა ($1^{1}/_{2}$ დესეტინა) ადგილი თავისის ძმის ახლად გარდაცვალებულის თ. სოლომონ ლეონიძის სახელობაზე. ეს ადგილი მით არის შესანიშნავი, რომ შემწირველის პაპის, გამოჩენილის სოლომონ მსაჯულის ლეონიძეს სამოსახლო ადგილი იყო. დღემდის დარჩენილია შენობის ქვითკირის ბალავერი, ხოლო თვით შენობა გადასწვეს მთავრობის განკარგულებით მას შემდეგ, რაც სოლომონ მსაჯული ოსმალეთში გაიხიზნა. სწორედ დიდი მადლობის ღირსია თ. დავით ლეონიძე ასეთის შეწირულებისათვის და დიდად წასაბაძავი მაგალითია სხვა ჩვენ მემამულეთათვის.“

✦ ს. წილამიერიდან (ლეჩხ. მაზ.) გვწერენ: „15 ავგისტოს აქ **საზარელი მკვლელობა** მოხდა: ამ დღეს აქ დღეობა იციან, ყველა მცხოვრებლები მიიწვევს თავ-თავიანთ მოყვრებს და ლხინობენ. ერთი მიწვეულთაგანი სახელდობრ გიორგი ქარსელაძე რევოლვერით სასიკვდილოთ დასჭრა არჩილ ასათიანმა. საბრალო ქარსელაძე მეორე დღესვე გარდაიცვალა. ამბობენ, ასათიანსა და ქარსელაძეს შუა ძველი მტრობა იყოო“.

✦ ზუგდიდის მაზრის სოფ. გურჟუანის სამრევლო სკოლის მზრუნველს ლავრ. კალანდარაშვილს ტფილისის ქალაქის გამგეობისათვის მიუმართნია თხოვნით—მომავალ საიუბილეო დღესასწაულის სახსოვრად ქალაქის ხარჯით გამომიგზავნეთ ფარანი ბუნდოვანი სურათებისათვისაო. ქალაქის გამგეობამ უარი შეუთვალა, რადგანაც კანონით ქალაქმა მხოლოდ ქალაქის მცხოვრებლებისათვის უნდა იზრუნოსო.

✦ პოლიციის პირველ ნაწილში, 21 აგვისტოს, ვიღაც ბოროტ-განმზრახველს ნატალია ნავაკისათვის მოუპარავს ოქროს ნივთები 40 მან. ღირებულებისა. გამოძიებით დაკარგული ნივთები აღმოაჩინეს ოქრომჭედლის სარქის ალიხანოვის დუქანში; ალიხანოვი პასუხის გებაში იქმნა მიცემული.

✦ პოლიციის მე-7 ნაწილში, გუშინ, ნაშუადღევის 3 საათზე, მე-44 ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის ჯარის კაცი პეტრე ბესკირსკი ხელში დაუჭრია, რაღაც მიზეზისა გამო, გორის მაზრის მცხოვრებს გიორგი პაპიტაშვილს, რომელიც პასუხის გებაში იქმნა მიცემული.

✦ 21 აგვისტოს, საღამოს 10 საათზე, პოლიციის მე-7 ნაწილში, კონგერსკის ქუჩაზე, იაგორ გოგილოვის ორ-სართულიან სახლის ერთი კედელი ჩამოქცეულა; კედელი გადანგრეულა პოლოსოვის ეზოში და დაუშავებია თვით პოლოსოვი და ორი მისი პატარა ბავშები—არტაშესი და მანიაკი, დაშავებულნი შემწეობის აღმოსაჩენად მიხეილის სამკურნალოში იქმნენ გაგზავნილნი. გიგოლოვის სახლი სულ რამდენიმე წელიწადია თურმე რაც ააშენეს. გამოძიება სწარმოებს.

ქუთაისის გუბერნიის მეურნეთა საყურადღებოდ

უკანასკნელ დროს საფრანგეთში ბევრსა თხოულობენ რამის (ჩინეთის კანაფის) ძაფს. ეს გარემოება აიხსნება იმითი, რომ თან და თან აუმჯობესებენ დეკორტიკატორებს (იარაღი ღეროსაგან ძაფის მოშორებისა) და უფრო კი იმითი, რომ გამოიგონეს ახალი ქიმიური საშუალება ღეროს დამუშავებისა: ამ საშუალებით ისეთი ძაფი კეთდება, რომ იგი უკეთესია ჩინეთში ხელით გაკეთებულზე. ახალის გამოგონებით ისარგებლა ერთმა დიდმა კამპანიამ, რომელიც აკეთებს რამის პლანტაციებს ალჟირში, სუმატრაზე და სხვა ადგილებშიაც. ეგევე კამპანია პირობით შეეკრა პრინცესსა მიურატს, რომელიც თავის სოფელ რიყეში (8 ვერსტია ზუგდიდიდან) ენგურის პირად მდიდარ ქვიშიან-ლამიან ნიადაგზე აკეთებს ჩინეთის კანაფის დიდ პლანტაციებს—ეხლა მას გაკეთებული აქვს 78 დესიატინამდე. ამასთანავე პრინცესსას მამულში კეთდება ქარხანა კანაფის ღეროს ქიმიურად დამუშავებისათვის.

ქუთაისის გუბერნიაში ჩამოვიდნენ სხვა კამპანიების აგენტებიც, რომელთაც ოზურგეთისა და ახალ-სენაკის მაზრაში დაურიგეს ზოგიერთ მემამულეებს დასარგავად რამის ფესვები იმ პირობით, რომ ფუთ ნედლ კანაფში ისინი მისცემენ ადგილის მეპატრონეთ 6 კ.

გუბერნიაში მგზავრობის დროს მე დავრწმუნდი, რომ უმეტეს წილად ფესვები დაურგავთ არა შესაფერის ადგილებზე, მაგ., მწირ „ეწერში“ ჩოხატაურის ახლო ან ნესტიან ნიადაგზე (ახალ-სენაკში). ჩინეთის კანაფისთვის კი საჭიროა მდიდარი, ღრმა და ფხვიერი ნიადაგი, მაგ. ქვიშიან-ლამიანი მდინარის ნაპირები.

სხვა შემთხვევებში კანაფი ურგავთ არა ღრმად დამუშავებულ ნიადაგში და ამასთანავე ფესვები ღრმად ჩაუფლავთ, რამი-კი თხოულობს მიწის ღრმად დამუშავებას—8-10 გოჯა—და დარგვა კი, განსაკუთრებით გაზაფხულზე, უნდა 1—$1^{1}/_{2}$ გოჯაზე.

რადგანაც რამის დამუშავებას ხარჯი სჭირდება და ცუდათ ჩავლილი ცდა ხელს შეუშლის ამ ახალის კულტურის განვითარებას, საჭიროდ მიმაჩნია, როგორც რაიონის აგრონომს, დახმარება აღმოვუჩინო შემამულეთ რამასათვის ადგილის ამორჩევაში, დამუშავებაში, დარგვაში და სხვა. საჭირო დარიგების მიცემა შემიძლია მე ან ჩემ თანაშემწეებს ადგილობრივ.

გარდა ამისა, ვისაც ახალი კულტურა ეინტერესება, შეუძლია თვალსაჩინო დარიგება მიიღოს პრინცესსა მიურატის პლანტაციებში და ქუთაისის საცდელ მინდორში (ქუთაისიდან 3 ვერსტზე წყალ-წითელაზე). ამასთანავე საჭიროდ მიმაჩნია გამოვაცხადო, რომ ერთი ჩემი თანამშრომელთაგანი ბ. ჯაფარიძე ადგენს მოკლე დარიგებას რამის მოვლა-მოყვანისას. ეს დარიგება ქართულადაც გამოვა.

ეს წერილი ვთხოვ გადაბეჭდონ სხვა რედაქციებმაც, განსაკუთრებიც ქართულებმა.

მიწად-მოქმედების სამინისტროს
აგრონომი ს. ტიმოფეევი.

პრესსა

რუსეთში და ჩვენშიაც კარგად იცნობენ გორკის, „მეოთხე წოდების“ პირ-ვარამის და სულიერ ცხოვრების გამომსახველ მწერალს. ხოლო ამავე ხასიათის მხატვარს, სალამატკინს, ნაკლებად იცნობს საზოგადოება. სალამატკინი იყო დიდი ნიჭის პატრონი. მისი კერძო ცხოვრება ფრიად საყურადღებოა. მხატვარი თითქმის მთელ თავის სიცოცხლეს სიმთვრალეში ატარებდა. მისი ნამდვილი მეგობრები, მისი ამსონები იყვნენნ—ლოთები, უსახლკარო მოხეტიალენი, ქუჩის ქურდები. მისი კლუბი დუქანი იყო და დიდი ქალაქის ბინძური ადგილები. სალამატკინი უახლოვდებოდა ზნეობით და გონებით დაცემულ ხალხს, უმასპინძლდებოდა, ემეგობრებოდა მათ. მისი მეგობრები ამავე სულ-დიდობას არ იჩენდნენ. ხშირად მოხდებოდა ხოლმე, რომ ისინი გახდიდნენ მთვრალ სალამატკინს ტანისამოსს და პერანგის ამარა გაისტუმრებდნენ შინისკენ. სალამატკინს მაინც უყვარდა ეს ზნეობით გათახსირებული, დაცემული ხალხი. სალამატკინი თავის მხატვრობით ნიჭს ამ „ხალხის“ გამოსახვას ანდომებდა. მართალია, ფედოტოვი, პრიანიშნიკოვი, მაკოვსკი და სხვანიც აქცევდნენ თავის ყურადღებას „მოხეტიალეთა“ და „მოწანწალეთა“ ცხოვრებას, მაგრამ ისინი უფრო ზედაპირულად აკვირდებოდნენ ამ ცხოვრებას; ისინი უფრო გაკვირვების ინტერესით, ვიდრე სიყვარულით ეპყრობოდნენ ამ ცხოვრებიდან გამონახულ «ტიპებს»... სალამატკინმა შეითვისა მაწანწალური ცხოვრება. და სულიც დაჰლია ამ ნიჭიერმა მხატვარმა ხეტიალსა და სიმთვრალეში. აი რას გვიამბობს ერთი მისი ამხანაგი გაზეთ «როსსია»-ში:

„ერთხელ, შემოდგომა იყო, დიდ პროსპექტზე მივდიოდი. წვიმდა, სიცივე და ლამი იყო. ვნახოთ—სალამატკინი! ორი თვე იყო არ მენახა. გალურჯებული იყო, ჰკანკალებდა. შარვალი და საზაფხულო პიჯაკი-ღა ჰქონდა გადაცმული შიშველ ტანზე. გაკვირვებულმა, ხელებიც-კი გავშალე

— სად არის შენი პალტო, ლეონიდ?

— დავაგირავე.

— რამდენად?

— ხუთ მანათად.

— წავიდეთ, გამოვიყიდოთ...

— ფული მომეცით, მე თვითონ გამოვიყიდი..

— არა, ძმაო, ერთად წავიდეთ.

წავედით. ლომბარდის შესავალთან ისეთის მუდარით დამიწყო თხოვნა, ფული ხელში მომეციო, რომ მეც ხათრი არ გავუტეხე და მივეცი. აქ კარებში მომიცადე, ეხლავ მოვალო. გავიდა ხუთი წამი, ათი, თუთხმეტი—სად არის შენი სალამატკინი. ველარ მოვითმინე, და შევედი ლომბარდში. ვეკითხები, იყო თუ არა ასეთი და ასეთი კაცი მეთქი? იყოვო, მხოლოდ პალტო არ გამოიყიდა, ისევ უკანა კიბით ჩავიდაო. ამის მეტად სალამატნიკი აღარ მინახავს. რამდენიმე დღის შემდეგ პესკაზე იპოვნეს სალამატკინის გვამი“.

⁂

„ნოვ. ვრემია“-მ წარმოების ცენტრალიზაციის წინააღმდეგ გაილაშქრა.“

„ჩვენ წარმოების ცენტრალიზაციაზედ კი არ უნდა ვფიქრობდეთ, სწერს გაზეთი, არამედ მრეწველობის გავრცელებაზედ მთელს რუსეთის სივრცეში, რათა ამ მრეწველობის საშუალებით მიწად-მოქმედებისათვის დახმარება აღმოგვეჩინა და მაგვემატებია მისი მყიდველი ძალა... შეიძლება გვიპასუხონ, თუ ვისმეს ჰსურს ქარხნის გახსნა რუსეთის რომელიმე კუთხეში, არავინ არ დაუშლის ამ ქარხნის გახსნასო. ჩვენ კი ვამბობთ, ბევრი რამ უშლის ამას და თავდაპირველად ჩვენი ეკონომიური პოლიტიკა, რომელიც წარსულ საუკუნის მეორე ნახევრიდამ დიდ მრეწველობას უწყობს ხელს. კრედიტის ორგანიზაცია, რკინის გზის ლიანდაგის მიმართულება, ტარიფის სისტემა, ქარხნების და ფაბრიკების გადასახადის წესი—საზოგადოთ, მთელი ჩვენი ეკონომიური პოლიტიკა მიმართულია იმაზე, რომ განსაზღვრულ ცენტრებში ავაყვავოთ მრეწველობა. მეურნის ინტერესი კი არასოდეს არა გვაქვს მხედველობაშიო“.

პროვინცია

შავშეთი (ართვინის ოლქი). მოგეხსენებათ მკითხველნო, რომ რაც დასავლეთ საქართველოში ნაშთებია, იმდენი საყურადღებო ნაშთები არსად მოიპოვება. საყურადღებოა ნამეტურ შავშეთი და კლარჯეთი. ეს კუთხე სამშობლოა იმ მოღვაწეებისა, ვისის მეოხებითაც ამაღლდა ქართველობა და ქართული მწიგნობრობა. აქ დაიბადა გიორგი მთაწმინდელი, თორნიკე ერისთავი, ფილოსოფი პეტრიწი, გიორგი მცირი, ეფრემ მთარგმნელი და მრავალიც სხვანი, მშვენება ქართველის ერისა.

ჩვენს მწერლობაში თუ რამ ძველი ხელთნაწერი წიგნები არის დღემდე დაშთენილი, სულ ამ კუთხეებშია ნაწერი. აქეთ ვერ ნახავთ სოფელს, დაბას და ქალაქს, რომ იქ ქართველთ დიდების მოწმად რამე ნაშთი არ იდგეს. 20 ვერსის მანძილზედ, სოფ. ციხიდგან ორდანუჯამდე სძევს შემდეგი ნაშთი: ტბეთის ტაძარი, რომელსაც ქებით მოიხსენიებს ჩვენი ისტორია და საიდგანაც დიდი ძალი ძველი ხელთნაწერები გვაქვს დღემდე შედგენილი; მდიდრად ნაგენი ოპიზის მონასტერი, რომლის შენობასაც განცვიფრებაში მოჰყავს მრავალნი; ფორტოს ეკლესია, რომელიც ტფილისის სიონის ეკლესიაზედ ბევრად უფრო დიდია; წყალ თეთრის ტაძარი, ბრეთის და მრავალნიც სხვანი, ენით მოუთვლელნი.

ყველა ეს ტაძრები და მათთან ერთად ბევრი სხვანიც მთლად აოხრებულები არიან. ყველა მათგანი კი შესანიშნავია ჩუქურთმით, მხატვრობით, ხუროთ-მოძღვრებით და ეკლესიაში დასაფლავებულ დიდებულ ქართველ მოღვაწეებით.

ამ უკანასკნელ წლებს, ამ ძველ ნაშთებს, ადრინდელ ქარიშხალთა გარდა სხვა შინაგანი ულმობელი ბედიც მოევლინათ. ეს ულმობელი ბედი გახლავთ ის გარემოება, რომ ამ რამდენიმე წლის წინად ზედა აჭარაში გათხრილ იქმნა ვანის ეკლესიის საფლავები, სხალტის, ოპიზის, ფორტოსი, ბერთასი, წყალ-თეთრის და მრავალიც სხვები. საფლავები იყვნენ XI და XII საუკუნოების და შიგ ბევრს ნივთებსაც პოულობდნენ. ვანის ეკლესიის საფლავებში, სხვათა შორის, იპოვეს ერთი დიდი დურჯი მარმარილოს თხელი ქვა, რომელზედაც დახატული იყო ღვთის მშობლის მიცვალება და გარშემო დახატულები იყვნენ ქართველთ მეფეები, რომელნიც გუნდრუკს უკმევენ მას, ვითარცა საქართველოს მფარველს.

ტბეთის ტაძარი გათხრილ იქმნა გრაფინია უვაროვისაგან. გათხრილ იქმნა მთელი ეკლესიის საფლავები, მხოლოდ ვერ გათხარეს ბაგრატ მესამის საფლავი, რადგანაც ზედ მეტად დიდი ქვა აძევს და ეს ქვაც დუღაბით არის ზედ დაკრული. ორმოცი კაცი მოიყვანეს და ამოსწიეს თოკებით და ლომებით, მაგრამ მაინც ვერ აგლიჯეს. შემდეგ ქვის მჭრელი ბერძნის ოსტატები მოიყვანეს, ამათ დაუწყეს ინგლისურის ფოლადის იარაღით ქვას მტვრევა, მაგრამ ქვამ არც ეს იარაღი მიიკარა ახლოს და მთლად იარაღიც დაამტვრია. ვერა გააწყეს რა და ბაგრატ მესამის საფლავი დარჩა გაუთხრელი. საფლავის ქვას სიგძე სამი არშინი აქვს და სიგანეც ამდენივე. მეტად შავი ქვა არის და მასთან მძიმეც. ქვის ზემოთ, ეკლესიის კედელში, თლილს ქვაზედ გამოჭრილია სურათი ბაგრატ მესამისა.

ქართველ მაჰმადიანები ამბობენ, რომ ამ საფლავს ქვეშ დიდი წმინდა კაცი მარხია და მიტომ არ იყაბულა ღმერთმა და ვერ აჰგლიჯესო. ჩვენც ძრიელ გვეწყინა ეს. მკვდრებთან რა ესაქმებათ, რომ სთხრიან და შიგ არ ასვენებენო. ამ ქვას ვერავინ დაამტვრევსო. სხვა და სხვა ნივთებს გარდა 80 ფუთი სულ იშვიათ ჩუქურთმიანი ქვები იქმნა ყუთებში ჩაწყობილი და მოსკოვში წაღებული გრაფინიასაგან. აქეთ ძრიელ ბევრი ნივთები შეიძლება კაცმა მოიპოვოს, ბევრს რამეს იშოვნის, მაგრამ ამისთვის ქართველები ხომ ვერ მოიცლიან! აქ ჩნდება თვით რომაელი ძველი იმპერატორების ვერცხლის ფულები.

ამ მოკლეს დროს შავშეთის ერთი სოფლის მიწაში ჩამარხულ ქვევრში იპოვნეს ერთი პატარა ხანჯალი, რომელსაც ორსავ მხარეს ქართული ასოები აქვს ამოჭრილი, მაგალითებრ: —«ჩ. ხ. ს.» რას ნიშნავს, ეს არ სჩანს. ხანჯალი თავის ქარქაშში ისე კარგა შენახულა, რომ თვით მაგარ თვისების რკინასაც კი სჭრის. ამ მოკლე დროს ეს ხანჯალი და რამდენიმე ძველი ფული გაეგზავნება «წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობის მუზეუმს».

უნდა მოგახსენოთ, რომ ზემოხსენებულ პირს ბევრიც სხვა ძველი ქართული ვერცხლის ფულები წაუღია თან, ოქროს ხატები და სხვებიც მრავალი, რომლებსაც თვით ეს პირი-კი არ პოულობდა აქა იქ სიარულის დროს, არამედ მას სხვა და სხვა კუთხის მოხელე ქართველნი მიართმევდნენ ხოლმე; იგიც, რასაკვირველია, სიამოვნებით ართმევდა ყველას. მარტო ერთ პატარა კუთხეში ერთის პირისაგან შესანიშნავი ძველი ქართული ხატი წაიღო, ძვირფასის ხელოვნების, და მეორესაგან—კარგა ბლომად ძველი ვერცხლის ფულები. ჩვენ აქ ყველას ვერ მოვსთვლით.

ფ. ჭ.

წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო! «კვალის» 30 ნომერში, შინაური მიმოხილვის განყოფილებაში, სხვათა შორის, მოთავსებული იყო შენიშვნა ჩემს შესახებაც. ამ შენიშვნის გამო 24 ივლისს მე მივმართე «კვალის» რედაქციას წერილით, მაგრამ მან არ დამიბეჭდა და «კვალის» მე-31 ნომერში დაბეჭდა უთარიღოთ ჩემს წინააღმდეგ მიმართული წერილი მასწავლებელ ნაკაიძისა.

მოგმართავთ თქვენ და გთხოვ თქვენის პატივცემულს გაზეთ «ცნ. ფურცელ.»-ში დამისტამბოთ ეს წერილი. აი ეს წერილიც:

გაზეთ «კვალის» 30 ნომრის შინაურ მიმოხილვაში, სხვათა შორის, ნათქვამია, ვითომც «რადაც უბრალო ჟინისთვის» ჩემთან მოსული ავადმყოფი არ მიმეღოს და მეორე დღისათვის გადმედვას მისთვის საქმით შეწევნის აღმოჩენა. დიდად დავალებული ვიქნები, თუ «კვალისავე» საშუალებით გვაცნობებთ:, როდის ან სად იყო, რომ მე «უბრალო ჟინისათვის» ვინმე ავადმყოფისათვის შემწეობა არ მიმეცეს? ან ვინ ბრძანდებოდა ის ავადმყოფი? ან რა ჟინი მქონდა მისი? წინააღმდეგ შემთხვევაში მე და, რასაკვირველია, სხვებიც ზემოთ აღნიშნულ კორესპონდენციას ცილის წამებათ ჩავსთვლით. 6—7 წელიწადია ოზურგეთში და მის მაზრაში ვმსახურობ და არ მაგონდება ისეთი შემთხვევა, რომ ავადმყოფისათვის შემწეობა არ მიმეცეს და უკან გამებრუნებინოს, თუ კი რაიმე ფრიად საფუძვლიანი და შეუსწორებელი მიზეზი არ მქონია. ისეც ნუ გიკვირთ, ბ. რედაქტორო, რომ ზოგიერთ პირებს, რომელთაც საქმის გარემოება კარგათ არ იციან, ძლიერ საფუძვლიანი მიზეზები «უბრალო ჟინათ» მიაჩნიათ. როცა რომ საქმის გარემოებას კორესპონდენციის ავტორი დაწვრილებით გაგვაცნობს, მაშინ იმ «უბრალო ჟინის» სამართლიანად გარკვევას შემდეგში შევუდგები თქვენისვე დახმარებით.

მედიცინის დოქტორი ივანე თიკანაძე.

ყოველ ეჭვს გარეშეა რომ «კვალმა» ეს ჩემი წერილი მიიღო, არ დაბეჭდა და ნაცვლად პასუხისა დაბეჭდა უთარიღოთ მასწავლებელი ნაკაიძის წერილი 31 ნომერში. თუ შევადარებთ ბ-ნი ნაკაიძის წერილის შინაარსს უწინდელ «კვალის» 30 ნომერში ჩემს შესახებ დასტამბულ შენიშვნას (იხილე კვალი № 30 გვერდი 692), ნათლად დავრწმუნდებით, რომ უკანასკნელი ნამდვილი შედეგია პირველისა, ე. ი. ჯერ «კვალმა» მიიღო ბ-ნ ნაკაიძის წერილი, გრცლად დაბეჭდვის ღირსად არ იცნო და მხოლოდ იხელმძღვანელა მისი შინაარსით და დასტამბა «კვალის» მე-30 ნომერში აღნიშნული შენიშვნა. შემდგომ, როცა ჩემი წერილი მიიღო, ნაცვლად პასუხისა, გამოაქვეყნა თვით დედანი—წერილი მასწავლებელი ნაკაიძისა.

რაც შეეხება ბ. ნაკაიძის წერილს, მართალი მოგახსენოთ, მე იმ წერილს სრულიად უყურადღებოთ დავსტოვებდი, რომ იგი (ნაკაიძე) თავის-თავს «მასწავლებელს» არ უწოდებდეს. თუ რა ცოდნა-მომზადებით აღჭურვილია ბ. მასწავლებელი ნ—ძე, ეს მგონი ძალა-უნებურად მისი წერილის ხასიათიდანაც სჩანს: არც ერთი ფაქტი ბ. მასწავლებელს სინამდვილით და სისწორით არ გადმოუცია. მე ვეცდები ყოველივე დაწვრილებით და უტყუარად გიამბოთ: ივნისის შუა რიცხვებში კვირა დღე იყო. მე, ექიმი დიმიტრი ერისთავი და ჭოლოშვილი ოპერაციას ვუკეთებდით ერთს ჩემს ავადმყოფს გვარად, [illegible]; სწორედ ოთხი საათი იქნებოდა, როცა ოპერაციას მოვრჩით. ისეც იყო ერისთავის საავადმყოფო სახლის ეზოდან გამოვდიოდი შინისაკენ, რომ ჭომაკართან მომეგება ოზურგეთში მოვაჭრე ბ-ნი გრიგოლ თენიეიშვილის ნოქარი გვარად სურგულაძე, რომელმაც მთხოვა ს. გურიანთას წაყოლა თავის ნათესავ ავადმყოფთან. თუმცა ძლიერ დაქანცული და თან უსადილოც ვიყავი, მაგრამ მაინც უარი არ მითქვამს, ვუთხარი ეტლი მოემზადებინა; მოველ სახლში, ვისადილე და ეტლიც მოვიდა; მაგრამ, ნახე ჩემი გაოცება, რომ შიგ ეტლში მჯდომი სულ სხვა კაცი დავინახე და არა ბ. სურგულაძე, რომელმაც წაყოლა მთხოვა. დავეკითხე—ვისია ეს ეტლი მეთქი, მან მიპასუხა: მე გრიგოლ თენიეიშვილის «პრიკაშჩიკმა» გამომგზავნა სამღვთოში უნდა წავიდეთო; ძლიერ შევსწუხდი, რადგანაც მე მეგონა ზედა გურიანთას მივდიოდი და არა სამღვთოს (რომლის სახელიც ბ-ნ სურგულაძეს ჩემთვის არ უხსენებია). აღმოჩნდა, რომ მე უნებლიეთ მოტყუებული დავრჩი. ვინაიდან სოფელი სამღთო ზედა გურიანთაზე იმდენად დაშორებულია, რამდენადაც უკანასკნელი ოზურგეთზე, მეწყინა ერთის მხრით, რომ საზოგადოთ ქვედა გურიანთაში (ახალსოფელს სამღთოს, მიქელ-გაბრიელს და სხ.) ცუდი გზებია და მეტად დიდი ტალახი იცის, ასე რომ წვიმის შემდეგ საშიშიც არის ცხენით მოგზაურობა, მეორეს მხრივ სადამოს სამღვთოდან ისე ადრე ვერ დავბრუნდებოდი, რომ «ლაზარეთში» ავადმყოფი სალდათები მენახა, რასაც მე სახელმწიფო სამსახური მავალებს. მიუხედავად ყველა ამისა, წავედი სამღთოში, ჩავედით თითქმის ნატანების სადგურამდე (18 ვერსია) და აქედან ცხენით უბრალო სოფლის გზით (და არა ნაკვთებით) გადავუხვიეთ სამღთოსკენ, 6—8 ვერსამდე გავიარე, სანამ მივაღწევდი მღვდელი თენიეშვილისას, რომელსაც დავებარებინე თავის ავადმყოფ ქალთან; გავშინჯე ეს ახალგაზდა ავადმყოფი, რეცეპტი დავუწერე, დავარიგე მშობლები, თუ როგორ მოუარონ ავადმყოფს და შემდეგ მღვდელს (ავადმყოფის მამას) ვუთხარი, რომ ყმაწვილი ტიფით არის ავად მეთქი, ნიეთ სიწმიდე, ექსკრემენტები შორ დააგდეთ, რომ სასმელ წყალში დვარმა არ ჩარეცხოს მეთქი და ხელ ბანად გამოველი აივანზე; იქ ერთ ბლუზიანი ყმაწვილი დამიხვდა, მკითხა, რით არის ავადო, ან გადამდე არაფერიაო. მე ვუთხარი, რომ ავადმ მამას ყველაფერი ავუხსენი და ყვე თვითეულად ვერ დავუწყებ საუბარს-მეთქი, ამისათვის არც ნება მაქვს და არც მოცლამეთქი. შემდგომ ორი ბავშვი მოიყვანეს, ერთი მათგანი დიდს სიცხეში იყო, კიდევაც მოემთვარა (ამათზედ ბ-ნი ნაკაიძე არაფერს არ ამბობს და ამ ფაქტს განზრახ მალავს). ორივე გავშინჯე და შესაფერი რეცეპტიც დავუწერე, დავარიგე და სახლში წამოსვლას ვაპირებდი; ამ დროს გავიგე, რომ ვიღაც ავადმყოფი კიდევ მოუყვანიათ; მითხრა მწვანე ბლუზიანმა: აგიც გასინჯეო. მე სწორედ უარი ვუთხარი, რადგანაც გვიან იყო, ღამდებოდა და ცხენით 6—8 ცუდი და სახიფათო გზა მქონდა გასავლელი და მეშინოდა ღამით მოგზაურობა. მე ვუთხარი: დიდის სიამოვნებით გავშინჯავდი, რომ დრო იყოს-მეთქი, ეს ფეხზე მდგომი ავადმყოფია და ადვილათ შეუძლიან ურემზე ან ცხენზე დაჯდეს, ან ფაეტონს დაუხვდეს და ოზურგეთში ამოვიდეს მეთქი. «როგორ ჰბედავთ თქვენ, რომ არ შინჯავთ ამ პატიოსან აზნაურშვილსა-ო, შემომიტევა იქ მყოფმა მანდილოსანმა. მე, უკვე ცხენზე შემჯდარმა, ვუპასუხე, რომ ექიმისათვის თავადს და აზნაურს გარჩევა არ აქვს-მეთქი, და, თუ კეთილშობილია, ჩემს მდგომარეობაშიც უნდა შევიდეს, რომ ღამით ცუდს სახიფათო გზაზე არ გამიშვას მეთქი. „გაზეთში ჩაგიწერო“ დამემუქრა მწვანე ბლუზიანი (რომელიც, როგორც გამომყოლმა კაცმა გამაცნო, პრიშეტნიკი ნაკაიძე ბრძანებულა). სწერეთ, რამდენიც დრო გქონდესთ-მეთქი და გავუ-

დექი ჩემს გზას. დღე და ღამე გაიყარა და ეტლთან მოვედით.

ამ გვარად, ბატონებო, ოზურგეთიდან სამდვთომდე გავიარე 36 ვერსი ეტლით, და 12—16 ვერსი ცხენით და ნაშუადღევის ოთხ საათზე წასული სახლში დავბრუნდი ღამის 11 საათზე; მივიღე შრომის სასყიდლად 4 მანეთი და 50 კაპეიკი. დიახ, ბატონებო, 48 ვერსი დაღალულმა, უსადილო ექიმმა გაიარო, სამი ავად-მყოფი გასინჯო, ამაში 4,50 კაპ. აიღო და კიდევ საყვედურს გამართლებიან? შეადარეთ, ბატონებო, ყველა ჩემ მიერ მოყვანილი ფაქტები (რომლებსაც თავის დროზე, სადაც ჯერ არს დავამტკიცებ; ამ ფაქტებს ვერც მღვდელი თენიეიშვილი და ვერც ერთი იქ მყოფნი ვერ უარყოფენ) მასწავლებელ ნიკაიძის წერილში აღნიშნულ ფაქტებს და ცხადათ დაინახავთ, რომ ამ უკანასკნელში ყველაფერი გადამახინჯებულია, სწორეთ ისე, როგორც მას მოუხდებოდა. რატომ ბატონი პედაგოგი არ ბრძანებს და ჰფარავს, რომ მე ორი ყმაწვილი გავსინჯე გარდა თენიეიშვილის ქალისა? რატომ მახვევს თავზე, ვითომ მეთქვას: სჯობია, ხვალ აქ ჩამომიყვანოთ და გამასინჯვინოთ, ვიდრე ეხლა; ნუ თუ მე 4 მან. და 50 კ. 48 ვერსის გავლაში დიდს სასყიდლად მომაჩნდა, მეხარბებოდა და იმიტომ მეორე დღეს მოვისურვებდი ნახვას? არა, ბატონო პედაგოგო, ეს თქვენი მდაბალი სულის ნაყოფია, მისი შეთხზული. კიდევ, თუ ის ავადმყოფი, რომელიც მე უდროობის გამო ვერ გავსინჯე ძლიერ გაჭირვებული იყო და მაშინვე მოითხოვდა საექიმო საშუალებას, უთუოთ მეორე დღეს ვისმე ექიმს მოითხოვდა ან წაიყვანდა იქ სამდთოში და ან ოზურგეთში ამოვიდოდა ავადმყოფი. დამისახელეთ, რომელ ექიმს მიმართა, მიჩვენეთ რეცეპტი! შემიძლია ის დავამტკიცო, რომ არსად არ ყოფილა და სრულიად დაკმაყოფილდა ფერშლის წამლით.

რაც შეეხება ბ-ნი პედაგოგის კითხვას, თუ რა მნიშვნელობა აქვს ავათმყოფისათვის ოცდაოთხი საათით წინ წამლის მისწრებას, ამ კითხვის განმარტება იმისთანა კაცისათვის, რომელსაც გონია, რომ ავადმყოფი ორ წამში გა[illegible]ჯება, წყლის ნაყვად მიმაჩნია.

[illegible]ით ვათავებ გაზეთების ფურცლებზე ბ-ნ ნა[illegible]თან და ყველა მის მზგავს ცრუ-მასწავ[illegible]ბთან ბაასს.

[illegible]ტორი ივანე თიკანაძე.

სასამართლო

ხუთშაბათს, 23 აგვისტოს, ტფ. სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე შორაპნის მაზრის, სოფ. ჭალის მცხოვრების აზნ. კაცია ივ. აბაშიძისა, რომელსაც სოფ. დრბოს მცხოვრების სარდიონ ჭიტაძის მკვლელობა ედებოდა ბრალად. პირველად ეს საქმე განუხილავს ქუთაისის ოლქის სასამართლოს ამ წლის 3 მაისს, სადაც ბრალდებულს აბაშიძეს თავი დამნაშავედ არ გამოუცხადებია და უთქვამს, რომ იგი იძულებული იყო დაეჭრა ჭიტაძე, რადგანაც მან შეუტია პირველად აბაშიძეს რევოლვერით მოსაკლავად, მან ეს საქმე ჩაიდინა თავის დასაცველად და არავითარი განზრახვა არა ჰქონია ჭიტაძის მოკვლისა, მოწმეების გამოკითხვით და საქმის გამოძიებით ოლქის სასამართლო დარწმუნებულა აბაშიძის ბრალდებაში, დამნაშავედ უცვნია იგი, როგორც წინასწარ განზრახვით კაცის მკვლელი და გარდაუწყვეტია ყოველივე პირადად თუ მდგომარეობით მოპოვებულ უფლება-უპირატესობათა ჩამორთმევა და ოთხის წლის ვადით მაღნის სამუშევრებში გაგზავნა. ბრალდებული ოლქის სასამართლოს განაჩენზე არ დათანხმებულა და საქმე გადმოუტანია ტფილისის სამოსამართლო პალატაში, სადაც გუშინ მას იცავდა ნაფიცი ვექილი ბ. ტურკევიჩი. პალატამ დამნაშავედ იცნო აბაშიძე და გადაუწყვიტა ზოგიერთ უფლება-უპირატესობათა ჩამორთმევა და 4 წლის კატორღაში გაგზავნა შეუცვალა პატიმართა გამასწორებელ რაზმში 4 წლის ვადით გაგზავნით და აგრეთვე დაადგინა შუამდგომლობა აღიძრას უმაღლესი მთავრობის წინაშე აბაშიძისათვის აზნაურობის წოდების ჩამორთმევის შესახებ.

სალამოს დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

23 აგვისტო.

პეტერბურგი გამოცხადდა შემდეგი ცირკულიარი შინაგან საქმეთა მინისტრის გუბერნატორების მიმართ: „მოუსავლობას, რომელიც ეწვევა მთელს გუბერნიას ან და რამდენსამე მაზრას, როგორც მაგალითი გვიჩვენებს, ადვილად შეუძლია გამოიწვიოს სხვა და სხვა ავადმყოფობის გავრცელება. ამიტომ, გარდა იმ წესებისა, რომელიც მე აღვნიშნე 17 აგვისტოს ცირკულიარში, საჭიროდ ვრაცხ დავაწესო საექიმო დახმარება დაზარალებულთ ადგილებში. საგუბერნიო და სამაზრო დებულების მეორე მუხლის და მერვე პუნქტის თანახმად, ეს საქმე ევალება საერობო დაწესებულებათ; იმის გამო უმორჩილესად ვსთხოვ თქვენს აღმატებულებას, წინადადება მისცეთ მომავალს საერობო კრებას განიხილოს შემდეგი საგნები: 1) მაზრაში საექიმო და საფერშლო განყოფილება იმდენი უნდა იყოს, რომ განყოფილების ექიმს თავის ფერშლებით დაუბრკოლებლად შეეძლოს თვალ-ყურის დევნება სნეულ მკვიდრთათვის; რადგანაც ეხლანდელი რიცხვი ექიმებისა ამ საქმისათვის საკმაო არ იქნება, საჭიროა მათი რიცხვის მომატება. 2) ფერშლები დრო-გამოშვებით უნდა დადიოდნენ თავიანთ რაიონებში და თუ ვისმე ღრძილების ანთება, ანუ გადამდები სენი გაუჩნდება, დაუყოვნებლივ თავიანთ რაიონის ექიმს უნდა შეატყობინონ. ექიმი ადგილობრივ უნდა წავიდეს და შესაფერი ღონისძიება მიიღოს სნეულის მოსარჩენად. 3) თუ ადგილობრივი საავადმყოფოები ავადმყოფებით გაივსება, რაიონის ექიმს უნდა მიეცეთ ვარაუდით ათ ათი თუმანი თითოს, რათა ავადმყოფებს რიგზე მოუარონ. ავადმყოფების მოსავლელად შეიძლება დაიქირაონ გარეშე პირნიც, იმავე სოფლის მცხოვრები ქალი ანუ კაცი. 4) ეხლავე განკარგულება მოახდინონ, რომ ექიმებს დროზე მიეცეთ საჭირო წამლები. 5) საზოგადოების ჯანმრთელობისა, მიღებულ ღონისძიებისა და ადგილობრივ საჭიროებათა შესახებ ექიმები პირდაპირ აცნობებენ სასურსათო ზედამხედველს.

თუ ზოგიერთი ღონის-ძიება შეძლების უქონლობისა, ან სხვა პატივსადებ მიზეზთა გამო ვერ შესრულდა, თქვენ დაწვრილებით უნდა მომახსენოთ ამის თაობაზე. ამას გარდა თქვენ უსათუოდ უნდა ეცადნეთ საექიმო რაზმები შეადგინოთ; ამ რაზმებს საგუბერნიო მმართველობა გაჰგზავნის იმ ადგილებში, სადაც სენი გაჩნდება. არა ნაკლებ ორის ამისთანა რაზმისა უნდა ნიადაგ მზად იყოს იმ მაზრაში გასაგზავნად, სადაც სენი გაჩნდება; როცა ეს რაზმები გაიგზავნება სადმე, იმათ მაგიერად სხვა რაზმები უნდა შედგეს; რასაც ამ ცირკულიარით ღონისძიებას მიიღებთ, დეპეშით უნდა მაცნობოთ, და ყოველი მიწერ მოწერა ამ საქმის შესახებ სამინისტროსთან დეპეშით უნდა იქონიოთ“.

გამოცხადდა გზათა მინისტრის შემდეგი ბრძანება: „როგორც გამოძიებამ აღმოაჩინა ვარშავის რკინის გზაზე მატარებელი № 63 17 აგვისტოს შემდეგის მიზეზით გადასცდენია რელსებს: 1) დამატებითი მატარებლის დანიშვნის შესახებ დეპეშა თავის დროზე არ ჩაუბარებიათ გზის მოხელისათვის; 2) როცა რელსებს ასწორებდნენ არც საჭირო დარიგება მიუციათ ამ მუშაობის შესახებ და არც მემანქანენი გაუფრთხილებიათ—გზა კეთდებაო და 3) სადაც გზა კეთდებოდა, საჭირო გამაფრთხილებელი ნიშნები არ ყოფილა და მუშაობის ზედამხედველს არ შეუსრულებია ის წესები, რომელიც ამისთანა შემთხვევისათვის არის დადგენილი. მით უფრო საყურადღებოა ეს საქმე, რომ მატარებელი № 63 ყოველ დღე არ დაჰყავდათ და ამიტომაც მისთვის მეტი ყურადღება უნდა მიექციათ. ამ საქმის გამოძიება კიდევ არ გათავებულა, მაგრამ ეხლავე საჭიროდ ვსთვლი, რკინის-გზის უფროსს მეცს შენიშვნა მივცე, რომ ჯეროვანი ყურადღება არა ჰქონია ხელ-ქვეითებზე მიქცეული. ლიანდაგის უფროსს ლუკინს სასტიკ შენიშვნას ვუცხადებ; მიმოსვლისა და ტელგრაფის უფროსს ენმანს შენიშვნას ვუცხადებ და მეხუთე დისტანციის უფროსს როდნიცკის სამსახურიდან ვითხოვ. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ორთქმავალის მოსამსახურეებმა სამაგალითოდ აასრულეს თავიანთი მოვალეობა და მათის მეოხებით მგზავრთა ზოგი ვაგონი უვნებლად გადარჩა.“

პეტერბურგი, გარეშე საქმეთა მინისტრი გრაფი ლამსდორფი საზღვარ გარეთ რომ წავიდა, თავის სამინისტროს მმართველობა თავის ამხანაგს თავად ობოლანსკის მიანდო.

მიწად-მოქმედებისა მინისტრის ამხანაგი სტევენი დაბრუნდა და თანამდებობის აღსრულებას შეუდგა.—დიდი მთავრის გენერალ-ადმირალის თანადასწრებით 26 აგვისტოს ჯავშნიანი გემი „ბოროდინო“ ზღვაში ჩაუშვებენ და გემის „კამჩატკის“ აშენებას შეუდგებიან. შემდეგ ბალტიის ქარხანაში ჯავშნიან გემის „თავად სუვოროვის“ აშენებას შეუდგებიან.

ლონდონი. კიტჩენერი 22 აგვისტოს რიცხვით იწერება პრეტორიიდან: „ფრენჩი იტყობინება, ბურები ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისაკენ წავიდნენ და ტრანსკეის ოლქი გაიარესო. პოლკოვნიკი მონრო მთის ვიწროებში ჩასაფრებულიო. პოლკოვნიკი სკობელი და დორანი ბურებს სდევენ. ლოტერი კრადოკის დასავლეთით იდგა და ეხლა დასავლეთისკენ გაემართა. ტერონი აუტგორს ახლო, სამხრეთით იდგა, ისიც დასავლეთისკენ მიდის. პოლკოვნიკ კოვანისაგან დევნილი შეფერსი 20 აგვისტოს მონტეგიუსკენ წავიდა, მაგრამ ინგლისელებს არ შეებრძოლა და ჩრდილოეთისკენ გაუხვია. გენერალი კინტგამი ფრეზენბურგის სამხრეთით სმიტსა სდევნის. ბურების დანარჩენი რაზმები მთის გასავლებში გაიფანტნენ. ჩრდილოეთიდან წამოსული 60 ბური 16 აგვისტოს ბეტულის ახლო ორანჟეს მდინარეში გავიდა და ლედიგრეის სამხრეთით ბურების სხვა პატარა რაზმს შეუერთდა. მდინარის ორივე ნაპირიდან ბურები განდევნეს. ამ ნაპირებს ბეჯითად თვალ ყურს ადევნებენ“.

პარიზი. ერთმა გაზეთმა ხმა გაავრცელა, ვითომ ბრძანება მიეღოთ—სამი გემი დაამზადეთ ოსმალეთში წასასვლელადაო. ეხლა აცხადებენ, რომ ამისთანა ბრძანება ტულონში არას დროს არ მიუღიათო.

ვენა. აქ მოვიდა რუსეთის მიწათ-მოქმედების მინისტრი ერმოლოვი.

ზასნიცი. აღმოჩნდა, რომ გემ „ვახტ“-ზე არავინ არ დაღუპულა.

არხანგელსკი. მურმანთან ზღვა ღელავს, ამიტომ გემები ზოგიერთ ნავთ-სადგურში ველარ შედიან.

რიგა. გამოფენა 2 ენკენისთვეს დაიხურება.

როსტოვი-დონზე. 25 აგვისტოს გაიხსნება შინაურ პირუტყვთა გამოფენა; ამ გამოფენას ჰმართავს ცხვრის პატრონთა კავკასიის კომიტეტი.

ბრიუსელი. მოლაპარაკება აქვთ, რომ შაქრის თაობაზე საერთა შორისო კონფერენცია გაიმართოს. იმედია, კონფერენცია შესდგება. უმთავრესი სახელმწიფოები თანახმანი არიან ახალი კონფერენცია მოიწვიონ. ჰფიქრობენ კონფერენცია წლეულს შესდგებაო, მაგრამ ოქტომბრისათვის ვერ მოესწრობა, როგორც [illegible] სხვა და სხვა გაზეთები იუწყებოდნენო.

ბერლინი. პრინც ცინის სალმის პასუხად გერმანიის იმპერატორმა სთქვა: სამხიარულოდ, სადღესასწაულოდ და უბრალო ზდილობის მოთხოვნილებით კი არ მოსულხართ ჩემთან, თქვენ მოგიყვანათ აქ დიდად სამწუხარო შემთხვევამ. ჩემი ელჩი ბარონი კეტელერი ჩინეთის სატახტო ქალაქში ჩინეთის იმპერატორის ჯარის კაცმა მოკლა, მოკლა უმაღლესის ბრძანებით. ეს საოცარი ბოროტ-მოქმედება ერთ-ნაირად მკაცრად არის დაგმობილი როგორც საერთა შორისო უფლებით ისე ყველა ერთა ჩვეულებით. ეს არის ეხლა თქვენ გამომიცხადეთ ჩინეთის იმპერატორის გულ-წრფელი სინანული ამა ამბისა გამო. მჯერა, რომ თქვენი ძმა—იმპერატორი თითონ არ გარეულა ამ ბოროტ-მოქმედებაში; არა [illegible]ულა ეგრეთვე შემდეგ ძალ-მომრეობაშიც, მაგრამ მით უფრო დიდი ბრალი ედებათ მის მრჩევლებს და მისს მთავრობას. ამას იქით ნულარ შესცდებიან. მხოლოდ ბოდიშის მოსახდელად ელჩების გამოგზავნით ვერ აიყრიან ამბრალს. შემდეგშიაც რიგზე უნდა მოიქცნენ, საერთა შორისო უფლების და განათლებულ ერთა ჩვეულების თანახმად. თუ ჩინეთის იმპერატორი ამას შემდეგ საერთაშორისო უფლების თანახმად მოიქცევა, მაშინ დავიწყებას მიეცემა შარშანდელი სამწუხარო შფოთი და ჩინეთსა და გერმანიას შორის წინანდებური მეგობრული განწყობილება დამყარდება, ორივე ერის და მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ. სალამს ვუძღვნი თქვენს იმპერატორებით უმაღლესობას.“

რედაქტორი	გამომცემელი
ალ. ჭყონია.	ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 21 აგვისტოს.

ვექსელის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	94,00	
ბერლინზე 100 მარკაში	46,02$^{1}/_{2}$	
პარიზზე 100 ფრანკში	37,32$^{1}/_{2}$	
ლონდონზე ჩეკები	94,60	
ბერლინზე „	46,30	
პარიზზე „	37,52$^{1}/_{2}$	
ბირჟის დისკონტი	5$^{1}/_{2}$—7%	
4% სახელმწიფო რენტა	96	მყიდვ.
4$^{1}/_{2}$% შინაგანი სესხი 1893 წ.	—	
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამ. ბანკისა	—	
5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	450$^{1}/_{2}$	გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	347$^{1}/_{2}$	მყიდვ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	238$^{1}/_{4}$	„
3$^{1}/_{2}$% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა	—	
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	—	
4$^{1}/_{2}$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—	
ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ	90	გაყიდ.
4$^{1}/_{2}$% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—	
ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის. 6% გირ. ფურცლ	—	
5 %გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—	

განცხადებანი

ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში

ისყიდება თარგმანები

ივ. მაჭავარიანისა:

გლეხი-კაცის ისტორია (ისტორია საფრანგეთის დიდი რევოლიუციისა) 4 ნაწილად. . . . ფასი 2 40

ბრჭყალები, დრამა 3 მოქ. „ — 30

ივდითი, დრამა 5 მოქმედ. „ — [illegible]0

ტარტიუფი, ანუ მუზმუზელა, კომედია 5 მოქმედ. „ — 5[illegible]

Дозволено цензурою. Тифлисъ, 23 Августа 1901 г.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.